

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება



მამუკა გოგიტიძე, დავით მჭედლიძე

## ქართული გენერლები აჭარიდან



გამომცემლობა „მნიგობარი“  
თბილისი 2020

უაკ (UDC) 355.083 (=353.1) (479.223)

გ-603

**რედაქტორი:**

**გიორგი ბაქიტაშვილი**

ისტორიის დოქტორი,  
პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:**

**გურამ ნიკოლაიშვილი**

გენერალ-ლეიტენანტი

**ილია ნულუკიძე**

პოლიციის გენერალ-მაიორი  
სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

**მამია გოგოლაძე**

ვიცე-პოლკოვნიკი,  
სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე,  
ჯუმბერ ლეჟავას სახ. მრავალპროფილიანი  
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,  
მწერალთა კავშირის წევრი

ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს გამოყენებული საავტორო უფლებების მქონე პირის წერილობითი ნებართვის გარეშე

**მანანა გორგიშვილი**

კორექტორი - ფილოლოგი

**თამარ ტყაბლაძე**

დამკაბადონებელი

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება  
განსაკუთრებულ მადლობას უხდის ბატონ  
**ვლადიმირ მჭედლიძეს**  
რომელმაც უზრუნველჰყო ამ წიგნის გამოცემა

## რედაქტორის სიტყვა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 36 ქართველი გენერლის ბიოგრაფია, რომლებიც დაიბადნენ აჭარაში.

წიგნში განხილულია ოსმალეთის იმპერიაში მომსახურე აჭარის ცნობილი გვარების გენერალიტეტის (მაგ. თავდგირიძე, ლორთქიფანიძე) ბიოგრაფიები.

ავტორების - საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის დოქტორის, **მამუკა გოგიტიძისა** და ამავე საზოგადოების რწმუნებულის ქვემო ქართლის მხარეში **დავით მჭედლიძის** სასახელოდ უნდა იტყვას, რომ მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი და შექმნეს შესანიშნავი ნაშრომი აჭარაში დაბადებულ ქართველ გენერლებზე.

ეს მეტად საჭირო ნაშრომი ნამდვილად წარმოადგენს გარკვეულ ინტერესს ქართული არმიის პირადი შემადგენლობისათვის და განკუთვნილია პირველ რიგში დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისათვის და იმ პირებისათვის, რომლებსაც აინტერესებს საქართველოს და ქართველი ერის სამხედრო ისტორია.

მადლობა უფალს! საქართველოს და ქართველ ხალხს გმირები და მხედართმთავრები სხვაგან საძებნი არა აქვს. მთავარია ჩვენ ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრეები და დამფასებლები!

**გიორგი ბეჟიტაშვილი,**

*სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე,  
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,*



რუსეთის იმპერია  
(1801-1917)





**შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი**  
**(Александр Александрович Аджарский)**  
**(07.01.1829-1892)**  
**გენერალ-მაიორი (26.02.1879)**

სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ზემო-აჭარის უკანასკნელი მთავარი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი (აჰმედ-ფაშას ძე) დაიბადა დაბა ხულოში ძველი ქართული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. მამამისი ახალციხის საფაშოს ხელმძღვანელობდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის 1828–1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობის დროს ახალციხის საფაშოს დიდი ნაწილის შემოერთებაში. მას, როგორც საფაშოს გამგებელს, თავდადებით არ უბრძოლია ახალციხის შესანარჩუნებლად. მისი ძალების შებრძოლება რუსეთის არმიასთან მოჩვენებითი ხასიათისა იყო, რადგან კარგად ახსოვდა მამის სიტყვები: „ჩვენი სამშობლო საქართველოა და არა ოსმალეთი“. აჰმედ ფაშა 1836 წელს, 55 წლისა მოულოდნელად, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

7 წლის შერიფის აღზრდა ითავა დედამ, დუდი ხანუმ ბეჟანბეგ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის სულთნის კარმა მას დაავალა აჭარის გამგებლობა. დუდი ხანუმმა მხარის გამგებლობა მიანდო მაზლს, ჰუსეინ-ფაშას, თავად კი მალევე წავიდა სტამბოლში, რათა შვილის განათლებასა და მისთვის ბეგობის წოდების მოპოვებაზე ეზრუნა. უამისოდ შერიფი ვერ გახდებოდა აჭარის მმართველი, ვერ დაიკავებდა მამის თანამდებობას.

სტამბოლში დუდი ხანუმს დამხმარედ ეგულებოდა ოსმალეთის ფადიშაჰის მაჰმუდ მეორის მეუღლე შუშანი თავდგირიძე, რომელიც წარმოშობით ქობულეთიდან იყო და ოსმალეთის სულთნის კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან მართლაც დიდი პატივით მიიღო დაქვრივებულ დუდი ხანუმი და შემდგომშიც არ აკლებდა ყურადღებას. შერიფი მიაბარეს უფლისწულებისთვის განკუთვნილ სკოლაში, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო. ქართულად წერა-კითხვა და ქართული ლიტერატურა კი ოჯახში შეისწავლა დედის დახმარებით.

სანამ შერიფი სრულწლოვანი გახდებოდა, მანამდე ზემო აჭარას დუდი-ხანუმი მართავდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უბრალო ხალხშიც და სულთნის სამეფო კარზეც. განსაკუთრებული გონიერება გამოიჩინა მან 1844 წელს, როცა აჭარის მოსახლეობა აუჯანყდა ოსმალეთის ხელისუფლებას დამატებითი გადასახადების შემოღების გამო. თურქეთის სულთანმა მღელვარების ჩასახშობად მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა და რომ არა დუდი-ხანუმის დიპლომატიური ნიჭი ადგილობრივ მოსახლეობას დიდი საშიშროება ელოდა.

15 წლის შერიფი აჭარაში ფაშის ტიტულით დაბრუნდა. სულთან აბდულ-მეჯიდს მისი სასახლის კარზე დატოვება სურდა, მაგრამ დუდი-ხანუმის პირადი თხოვნა გაითვალისწინა და შერიფი ზემო აჭარის მმართველად დაამტკიცა. მისი მმართველობის დროს სისხლის აღებისა და ყაჩაღობის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პიროვნებას ბევრი მოგზაური თუ მკვლევარი მოუხიბლავს თავისი განათლებით, ენამახვილობითა თუ დარბაისლობით. მასზე მოგონებები დაგვიტოვებს: ივანე კერესელიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკოლოზ არჯევანიძემ და სხვებმა.

1874 წლის გაზაფხულზე შერიფ ბეგის სტუმარი ყოფილა გიორგი ყაზბეგი. იგი მასპინძელს ასე ახასიათებს: „შერიფ ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადგეია. მას ტიპიური ქართული სახე აქვს, იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს... ბეგმა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი, კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ ბეგი კარგი მხატვარიცაა. სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატი ამშვენებს“.

შერიფ ხიმშიაშვილს ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურა, მშობლიური ენა და კულტურა. ეს ნათლად ეტყობა მის წერილებს. ამ მხრივ სანიმუშოა 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი მისი წერილი – „გულწრფელი აღსარება“, რომელიც გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით. მხატვრული ოსტატობით და, რაც მთავარია, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით.

1877–1878 წლების ომში ბათომისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მას შემდეგ რაც ოსმალეთის იმპე-



რამ აჭარელ ბეგებს უფლებები შეუმცირა, მათ დაინყეს რუსეთისაკენ ლტოლვა, რადგან ხედავდნენ, რომ იქ მცხოვრები ქართველი თავადები უფრო დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შერიფ-ბეგი, განსაკუთრებით უწყობდა ხელს რუსეთს აჭარის დაბრუნების საქმეში. მისი ეს დამსახურება უყურადღებოდ არ დარჩა იმპერიის მთავრობას და როდესაც რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1879 წელს, აჭარის დელეგაცია პეტერბურგში ჩავიდა, შერიფ-ბეგს რუსეთის იმპერატორმა პირადად უთხრა – არ დავივიწყებ ომის დროს შენს მიერ განუღებულ სამსახურსო და სახელმწიფო ხაზინიდან 15 ათასი მანეთი ოქროთი გადასცა.

შერიფ-ბეგი ამ პერიოდში სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით მსახურობდა; მას დაენიშნა მისი ჩინის შესაფერისი პენსია; თანაც გამოეცხადა, რომ თუ ვინიცობაა, აჭარა ისევ ოსმალეთს დარჩა და თქვენ იძულებული გახდით აქაურობა დატოვოთ, რაც ამ მხარეში მამული გაქვთ, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაშიო. შერიფ-ბეგს ეკუთვნოდა: ყარსის ოლქში 400 დესეტინა საშენი ტყე, შიგ ყარსშივე სავაყუფო (მეჩეთებისათვის შენირული), დუქნები, აჭარის სავაყუფო (საეკლესიო), სოფლები: ხულო, დიდაჭარა, დოსხევი, ალმე და საზაფხულო საძოვრები. ყოველივე ამას ოსმალეთის სულთნების ფირმანებითა და ქართველ მეფეთა მიერ ბოძებული გუჯარებით ფლობდნენ შერიფ-ბეგის წინაპარნი და როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე, თავად შერიფ ბეგიც.

აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობამ შექმნა კომისია, რომელმაც 1883 წელს განიხილა აჭარის სამამულო საქმეები და დაადგინა: აჭარის ყველა მამულები ოსმალების ხელში სახელმწიფო ქონებას წარმოადგენდა და მასასადამე ახლაც სახელმწიფო ქონებად უნდა დარჩესო. შერიფ-ბეგის საკუთრებად მხოლოდ 16 დესეტინა მიწა ცნეს. 1889 წელს, როცა უკვე გენერალ-მაიორი იყო, მან მთავრობას კვლავ მიმართა თხოვნით თავისი მამულების თაობაზე, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ სიცოცხლეში არაფერს არ მოსწრებია.

1892 წელს შერიფ ხიმშიაშვილი მინვეული იყო პეტერბურგში, რუსეთის სამეფო კარზე. იგი იქ გაცივდა, დაავადდა და იმავე წელს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი შვილებმა აჭარაში გადმოასვენეს. დაკრძალულია თავის საზაფხულო აგარაკზე ქოჩახში.

შერიფ-ბეგს დიდი ოჯახი ჰყავდა. დარჩა 20 შვილი (11 ვაჟი და 9 ქალი). ზოგიერთი ცნობით იგი პეტერბურგში ქრისტიანულად მოინათლა და ნათლობის სახელად ალექსანდრე ეწოდა, ნათლის – იმპერატორ ალექსანდრე II პატივსაცემად.

შერიფ-ბეგის შვილები – ისა ბეი, თემურ ფაშა და ჯემალ ფაშა, რუსული განათლების მიუხედავად, მეფის რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომაც, რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

შერიფ-ბეგის ყველაზე ახალგაზრდა მეუღლე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III მეუღლის, მარია ფეოდოროვნას ბიძაშვილი იყო. მარია ფეოდოროვნა კი ინგლისის დედოფლის ვიქტორიას და გახლდათ. გერმანელი მეუღლისაგან შერიფს შეეძინა ქალიშვილი — ვერა-ბატი (ანუ ბატონი), რომელიც 1890 წელს იონა მეუნარგიას მოანათვლინა. ისინი სხალთაში არიან დასაფლავებულნი.

დღეს, სოფელ სხალთაში (ხულოს მუნიციპალიტეტი), სახლში, რომელშიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შერიფ ხიმშიაშვილი, გახსნილია მისი სახელობის მუზეუმი.

შერიფ ხიმშიაშვილმა და მისმა შთამომავლებმა პირნათლად შეასრულეს – მათი წინაპრის სელიმ ხიმშიაშვილის (შერიფის ბაბუა) ანდერძი, რომელიც წარმოთქვა ღალატით შეპყრობილმა თავის მოკვეთის წინ – „მართალია მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით გურჯისტანი ოსმალს სამუდამოდ მაინც არ შეგრჩებათ. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო“, – და მათ მართლაც გმირულად გააგრძელეს სელიმის საქმიანობა.

დაჯილდოებული იყო „წმ.ვლადიმერის,, მე-III ხარ.ორდენით (1881)


აგრეთვე „მეჯიდიეს,, მე-V (1879) და „ოსმანიეს,, მე-IV (1879) ორდენებით.

შერიფ ხიმშიაშვილი პირველია და ერთადერთი გენერალი აჭარიდან რუსეთის იმპერიის პერიოდში.





საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკა  
(1918-1921)



ასლან იბრაიმის-ძე აბაშიძე (ასლან-ბეგი)  
(1877-1924)  
გენერალ-მაიორი (19.06.1918)

ბათუმის სადროშოს გამგებელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი, მემედ აბაშიძის (1873-1937) უმცროსი ძმა.

დაიბადა ბათუმში. ასლანის მამა, თავადი იბრაიმი ფრიად განათლებული, ქართული ორიენტაციის პიროვნება იყო. მან ხუთივე შვილს (ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი) კარგი განათლება მისცა ოჯახში მოწვეული მასწავლებლების საშუალებით.

ყველანი ბრწყინვალედ ფლობდნენ მშობლიურ ქართულ ენას, ასევე აღმოსავლურ და ევროპულ ენებსაც, კარგად ერკვეოდნენ პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სამხედრო საქმეში.

ასლან აბაშიძე სიჭაბუკიდანვე ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. განსაკუთრებით სამხედრო საქმე ეხერხებოდა. მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1905-1907 წლების რევოლუციურ გამოსვლებში. მეთაურობდა საბრძოლო რაზმს. თავი გამოიჩინა ნასაკირალისა და ბათუმის ბრძოლებში (1905).

ხელისუფლების სანინააღმდეგო საქმიანობის გამო 1908 წელს ასლანი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

იმავე წლის დეკემბერში მოახერხა გადასახლებიდან გაქცევა და მოსალოდნელი რეპრესიების გამო იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყო. სტამბოლში დრო უქმად არ დაუკარგავს, ოტომანთა უმაღლეს სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა და სამხედრო განათლება მიიღო.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ მემედ და ასლან აბაშიძეები საქართველოში დაბრუნდნენ. ასლანი მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და პროქართულ ორიენტაციას აჭარაში.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ (1918 წელს) მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში. იგი ხელმძღვანელობდა მაჰმადიან ქართველთა რაზმებს სომხეთთან ომში 1918 წელს.

ასლან აბაშიძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სამხედრო მონაცემებით, სამხედრო მეთაურის სტრატეგიული ნიჭით, რისთვისაც ჯერ დაინიშნა სამხედრო სამინისტროს დავალებათა შტაბ-ოფიცრად და მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

**საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოვლენილი მხედრული ნიჭის, ვაჟაკური შემართებისა და მამაცობისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის წარდგინებით, სამხედრო შტაბმა ასლან აბაშიძეს გენერლის წოდება მიანიჭა.**

ასლან აბაშიძე პირველი და ერთადერთი გენერალია აჭარიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

ხოლო შემდეგ, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის წარდგინით, 1918 წლის 19 ივნისს, გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. იგი იყო საქართველოს ეროვნული არმიის ერთადერთი გენერალი აჭარიდან.

1920 წელს ასლანი ბათუმში შეხვდა და დაუმეგობრდა იმჟამად იქ მომუშავე ქაქუცა ჩოლოყაშვილს. მათი სიახლოვე ემიგრაციაშიც გრძელდებოდა.

გენერალი აბაშიძე თავისი ათასეულით ფხიზლად იდგა ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე ბათუმსა თუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. როგორც კი სიტუაცია რთულდებოდა, გენერალი თავის შენაერთს მოხალისეებით აძლიერებდა.

ასე გაგრძელდა 1921 წლის თებერვლის ბოლომდე, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში არ წავიდა.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ 1921 წლის თებერვალ-მარტში ასლან აბაშიძე თურქეთში გადასახლდა და კონსტანტინოპოლის ქართველ მოახალშენებს შეუერთდა.

ნოემბერ-დეკემბერში კვლავ აჭარაში იმყოფებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების მიზნით. შემდეგ ისევ თურქეთში დაბრუნდა. მას

მუდმივი კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველებთან და ეხმარებოდა მათ.

იყო სტამბოლის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების ორგანიზებაში.

ასლან აბაშიძე ტრაგიკულად დაიღუპა სტამბოლში 1924 წელს (სავარაუდოდ მონამლეს).

ასლან აბაშიძე ბრწყინვალე მომღერალი იყო. იგი არის ავტორი მხედრული სიმღერისა „ასლანური“.

ასლანბეგ აბაშიძის სახელს ატარებს ბათუმის ერთ-ერთ იქუჩა.



საბჭოთა კავშირი  
(1940-1991)



მერკვილაძე გარი ალექსანდრეს-ძე  
(17.02.1923 -02.04.1971)  
ავიაციის გენერალ-მაიორი (28.06.1966)  
საბჭოთა კავშირის გმირი (26.06.1945)

დაიბადა ქ.ბათომში.

დაამთავრა სშუალო სკოლის 9 კლასი.

1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იმავე წელს დაამთავრა თბილისის პილოტთა სამხედრო საავიაციო სკოლა, ხოლო 1942 წელს დაამთავრა არმავირის პოლოტთა სამხედრო საავიაციო სკოლა.

აქტიურად მონაწილეობდა 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში.

მსახურობდა 270-ე გამანდგურებელ საავიაციო პოლკში. იბრძოდა ვორონეჟის, სტეპნოის, მე-2 და 1-ლ უკრაინის ფრონტებზე.

1945 წლისათვის მან მოახდინა 386 საბრძოლო გაფრენა გამანდგურებლებზე ЯК-1, ЯК-7 და ЯК-9. 87 საჰაერო ბრძოლაში პირადად ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 13 თვითმფრინავი.

1952 წელს დაამთავრა სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემია, 1961 წელს კი გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. დაფრინავდა რეაქტიულ თვითმფრინავებზე.

1970 წელს გავიდა თადარიგში.

ცხოვრობდა და გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებულია „ლენინის,, (1945), სამი „ნითელი დროშის,, „ალექსანდრე ნეველის,, სამი „ნითელი ვარსკვლავის,, და „სამამულო ომის,, I ხარისხის ორდენებით.





**ცინცქილაძე მემედ ჯემალის-ძე**  
**(03.11.1915 -03.02.1989)**  
**შინ. სამს. მე-III რანგის გენერალი**  
**(05.11.1972)**

დაიბადა სოფელ ორთა-ბათუმში, (ამჟამად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში; დაამთავრა მოსკოვის ვ.ი. ლენინის სახელობის სამხედრო პოლიტიკური აკადემია პოლიტ-მუშაკთა მომზადების სპეციალური კურსები და მიენიჭა თადარიგის პოლიტ-მუშაკთა უფროსი ლეიტენანტის ნოდება 1936 წელს.

1967–1974 წწ. იყო აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი;

1941–1956 წწ. სამჭოთა არმიის რიგებშია; იყო ბატალიონის მეთაური, პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, 414-ე დივიზიის უფროსის მოადგილე;

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში;

1956 წლიდან იგი სხვადასხვა დროს იყო ბათუმის რაიმილიციის უფროსი, ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

1967–1974წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრები;

1974 წლის აპრილში გავიდა თადარიგში; თადარიგში გასვლის შემდეგ იგი არჩეულ იქნა ომისა და შრომის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ. დაჯილდოებულია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით;

დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ „საპატიო ნიშნის“ და „სამამულო ომის“ I ხარ. (1985) ორდენებით.

დაკრძალულია ბათუმში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ქალაქ ბათუმში ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლს N27, სადაც 1961-1989 წლებში ცხოვრობდა მემედ ცინცქილაძე ამშვენებს მემორიალური დაფა.



ნაჭყებია ოთარ მელქისედექის-ძე  
(1925-1994),  
გენერალ-მაიორი (10.02.1981)

დაიბადა ბათომში.

დაამთავრა იქვე მე-4 ქართული სკოლა. 1943 წელს გაინვიეს საბჭოთა არმი-  
აში. მონაწილეობდა 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში. ომის დროს დაამ-  
თავრა კრასნოდარის მეტყვიამფრქვევთა სამხედრო სასწავლებელი.

1944 წლიდან მსახურობდა 1-ი გვარდიული არმიის ჩერნიგოვის 211-ე  
მსროლელი დივიზიის გორლიცკის 887-ე მსროლელ პოლკში.

იმავე 1944 წელს, მონაწილეობდა ბრძოლაში სანდომირის პლაცდარმისათვის.  
ანთავისუფლებდა ჩეხოსლოვაკიას, იბრძოდა კარპატებში.

1945-49 წლებში მსახურობდა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში.

1949 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

1952 წელს დაამთავრა ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო  
აკადემია.

1966 დაინიშნა დივიზიის მეთაურის მოადგილედ ზურგის დარგში.

1966-71 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარების ჯგუფში უნგრეთის სახალხო  
რესპუბლიკაში.

გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში.

დაჯილდოებული იყო ორი „წითელი ვარსკვლავის“ „საპატიო ნიშნის“ და „სა-  
მამულო ომის“ ორდენის I ხარ. (1985) ორდენებით.



**ჯაიანი ანზორ გიორგის-ძე**  
**(09.09.1934-05.10.2005)**  
**გენერალ-მაიორი(09.05.1986)**

დაიბადა მესაზღვრის ოჯახში.

1953 წელს დაამთავრა ტაშკენტის სუვოროველთა სამხედრო სასწავლებელი, 1955 წელს ხარკოვის სასაზღვრო სასწავლებელი, ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი და უშიშროების უმარლესი სლოკის ასპირანტურა.

1964 წელს გადმოყვანილ იქნა საქართველოს სსრ სახ.უშიშროების კომიტეტში.

1982-91 წლებში იყო აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

1991 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის აპარატში. იქნა მივლინებული მაროკოში, სადაც იყო საგარეო დაზვერვის წარმომადგენელი.

არჩეულ იქნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის,, ორდენით და სამკერდე ნიშნით „სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომელი,, მიღებული ჰქონდა ბულგარეთის და მაროკოს სახელმწიფო ჯილდოები.

დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.




ბეჟანიძე მიხეილ ბილალის-ძე  
(05.01.1931-2016)  
მილიციის გენერალ-მაიორი (01.11.1989)

დაიბადა ქობულეთის რაიონის, სოფ. ხუცუბანში.

1975 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

1987-90 მუშაობდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

დაჯილდოებულია „შსს დამსახურებული მუშაკის,, სამკერდე ნიშნით (1981).



თანამედროვე საქართველოს  
გენერლუბი აჭარიდან  
1992 წლიდან დღემდე



ელგუჯა აკაკის-ძე ბუცხრიკიძე  
(12.05.1947-2010)  
პოლიციის გენერალ-მაიორი (30.10.1992)

დაიბადა ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდში.

1992 წლამდე მუშაობდა სსრკ შსს-ს სისტემაში.

1992-1996 წლებში მსახურობდა შსს შინაგან ჯარებში.

1996 წლიდან მსახურობდა შსს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსად.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

დაჯილდოებულია «ვახტანგ გორგასლის» მე-III (1997) და მე-II ხარისხის (2000) ორდენით და მედლით „მხედრული მამაცობისათვის“, დაკრძალულია ქ.ქუთაისში.



**იური ილიას-ძე კეშელავა**  
**(05.01.1941-2001)**  
**გენერალ-მაიორი (15.03.1993)**

დაიბადა ქ.ბათუმში.

1957 წ. დაამთავრა ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა და 1974 წ. სახელმწიფო უშიშროების უმაღლესი სკოლა ქ.მოსკოვში.

1960-1963 წწ. მსახურობდა საბჭოთა ჯარში.

1967 წლიდან მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში.

სხვადასხვა დროს იყო ოპერატიული, უფროსი ოპერატიული მუშაკი.

1977-1978 წწ. მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების ფოთის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1978-1984 წწ. მსახურობდა საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კონტრ-დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის უფროს თანაშემწედ.

1984-92 წწ. მსახურობდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარის მოადგილედ.

1990 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1990-1992 წწ. მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების გაგრის განყოფილების უფროსად - აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარის მოადგილედ.

1993 წელს დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილედ.

მინიჭებული ჰქონდა საბაჟო სამსახურის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება.

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის“, მე-II ხარისხის ორდენით.

დაკრძალულია ბათუმში, განთიადის სასაფლაოზე.



**გურამ გიორგის-ძე ნიკოლაიშვილი**  
(დ.06.11.1952)  
**გენერალ-ლეიტენანტი (24.05.1996)**

დაიბადა ქ.ქობულეთში.

1970 წელს დაამთავრა ქობულეთის საშუალო სკოლა.

1974 წელს დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი.

1991 წელს დაამთავრა ლენინგრადის კალინინის სახელობის სამხედრო აკადემია (1991).

1974-1976 წწ. მსახურობდა საცეცხლე ოცეულის მეთაურად.

1976-1980 წწ. მსახურობდა ბატარეის მეთაურად.

1980-1984 წწ. მსახურობდა შტაბის უფროსად-ცალკეული დივიზიონის მეთაურის მოადგილედ.

1984-1986 წწ. მსახურობდა საარტილერიო დივიზიონის მეთაურად.

1986-1987 წწ. მსახურობდა შტაბის უფროსად -გამაგრებული რაიონის არტილერიის უფროსად.

1987-1989 წწ. მსახურობდა შტაბის უფროსად-გამაგრებული რაიონის უფროსის მოადგილედ.

1989-1991 წწ. მსახურობდა მე-100 გვარდიული დივიზიის (ქ.თბილისი) სათადარიგო სასწავლო საარტილერიო პოლკის მეთაურად, მე-100 დივიზიის პოლკის მეთაურად (ქ.ახალქალაქი), მე-100 დივიზიის სარაკეტო და არტილერიის ჯარების მეთაურად.

1991-1992 წწ. მსახურობდა კორპუსის არტილერიის უფროსად.

1992 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.



1993 წლის 13 სექტემბერს მიენიჭა „გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება.

1992-2000 - მსახურობდა ქართულ ჯარში-მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურად; მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსად, მთავარი შტაბის უფროსად, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ, დსთ-ს სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის უფროსის მოადგილედ.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. 2000 წლიდან თადარიგშია. ცხოვრობს თბილისში.

დაჯილდოებულია „სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის,, მე-III ხარ. და „ვახტანგ გორგასლის,, მე-II ხარისხის (1996) ორდენებით.



ალი (ალეკო) შერიფის-ძე ბაკურიძე  
(დ.30.04.1958)  
პოლიციის გენერალ-მაიორი (10.02.1994)

დაიბადა დაბა მახინჯაურში.

1993-94 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ შს მინისტრად;

1994-95 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ;

1995-2000 წწ. მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროს კონსულტანტად;

2000-2003 წწ. მუშაობდა შსს პოლიციის აკადემიის პრორექტორად.

მიღებული აქვს სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოები.



იოსებ რეზოს-ძე გოგიტიძე  
(დ.31.05.1962)  
გენერალ-მაიორი (07.04.1994)

დაიბადა ქ.ქობულეთში.

დაამთავრა ქ. როსტოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი 1991 წელს.

ამავე წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში უზენაესი საბჭოსა და მთავრობის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსად;

1993 წლის ოქტომბერში დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ;

1993-2004 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად; აჭარაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად, 2004 წლის 6 მაისს დატოვა ბათუმი და ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში.

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, II-ე ხარ. (1996) და „ღირსების,, (1997) ორდენებით.



თეიმურაზ ივანეს-ძე გრძელიძე  
(დ.05.08.1956)  
გენერალ-მაიორი(08.10.1994)

დაიბადა ქ.ბათუმში.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი 1978 წელს;

1980-1981 წწ.სწავლობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქ. მინსკის უმაღლეს კურსებზე

1978-1980 წწ.მუშაობდა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში ინჟინრად;

1981 წლიდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებშია;

1997-2000 წწ.მსახურობდა საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

2000-2001 წწ. მსახურობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ;

2001-2004 წწ. მსახურობდა საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ;

დაჯილდოებულია ღირსების (1996) , „ვახტანგ გორგასლის,, მე- II (2001) და მე-III ხარ. (1996) ორდენით.



ასლან იბრაიმის-ძე აბაშიძე  
(დ.20.07.1938)  
გენერალ-მაიორი (31.12.1994)

დაიბადა ქ.ბათუმში.

მისი პაპა იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე (1873-1937).

დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი 1975 წელს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკულტეტი 1984 წელს.

1962-1965 წწ. მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და პარალელურად ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად;

1965-1980 წწ. მუშაობდა 44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად;

1981-1984 წწ. მუშაობდა ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარედ;

1984-1989 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ და შემდეგ საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად და კონცერნ "საქყოფსერვისის" პრეზიდენტად.

1991 წლის მარტში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით დაინიშნა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

1991 წლის ივლისში არჩეულ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. საქართველოში სამოქალაქო მღელვარებების დროს მოახდინა საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდირება და ფაქტობრივად რეგიონის ერთპიროვნულ მმართველად იქცა.

1992 წელს ასლან აბაშიძემ დააარსა და სათავეში ჩაუდგა "საქართველოს ალორდინების კავშირს".

1996 წელს მეორედ არჩეულ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

1998 წელს მისი რედაქციით შეიცვალა აჭარის ა/რ კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც აბაშიძე გახდა „ავტონომიის მეთაური“.

2000 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

2001 წელს ასლან აბაშიძე აჭარის ა/რმ ეთაურადა ირჩიეს. მან ხმათა 99% მიიღო. მისი მმართველობის დროს აჭარა შედარებით სტაბილური მხარე იყო, თუმცა იდევნებოდა ოპოზიცია, ირღვეოდა ადამიანის უფლებები. გარკვეული ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად მმართველობა იყო კორუმპირებული და კონცენტრირებული აბაშიძის ოჯახის წევრების ხელში. შეიქმნა არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც საბაჟოსა და რეგიონში განთავსებულ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ქვედანაყოფებთან ერთად პრაქტიკულად აბაშიძეს ემორჩილებოდა.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან აბაშიძის დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი იყო, 2003 წელს მომხდარი ე.წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. ასლან აბაშიძემ უკანონოდ გამოსცა განკარგულება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამის შემდეგ ის ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია 2004 წლის მაისში, როდესაც ასლან აბაშიძის ბრძანებით ააფეთქეს ხიდი მდინარე ჩოლოქზე. იმავე დღეებში მოხდა ოპოზიციის გამოსვლების დარბევა, თუმცა საპროტესტო ტალღა არ შეჩერებულა. აჭარაში განთავსებული საჯარისო ნაწილების შემადგენლობამ მასიურად დაიწყო ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე გადასვლა.

2004 წლის 6 მაისს, ა. აბაშიძემ ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი აჭარაზე. ამის შედეგად ასლან აბაშიძე იძულებული გახდა გადამდგარიყო და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის იგორ ივანოვის თანხლებით დაეტოვებინა აჭარა. ცხოვრობს მოსკოვში.

ასლან აბაშიძე იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995) და, საქართველოს პარლამენტის წევრი 1991, 1992-1995, 1995-1999.

მიღებული აქვს მშვიდობის დაცვის ნანსენის სახელობის პრემია.

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, I-ი ხარისხის, „მეგობრობის,, (რუსეთი) და „საპატიო ნიშნის,, (სსრკ)ორდენებით.



კახა მამიას-ძე თარგამაძე  
(დ.30.11.1955)  
პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი  
(24.05.1996)

დაიბადა ქ.ბათუმში, მილიციის პოლკოვნიკ მამია თარგამაძის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი 1977 წელს ;

1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1979-1992წწ. მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორად, უფროს ოპერწმუნებულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ოპერწმუნებულად, განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1992-1995წწ. მუშაობდა ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად;

1995 წელს მუშაობდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, მინისტრის მოადგილედ;

1995 წლის 8 აგვისტოს მიენიჭა „პოლიციის გენერალ-მაიორის,, სპეციალური ნოდება.

1995-2001 წწ. მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, I-ი ხარისხის (1997) და ღირსების ორდენებით (1995).



**ზურაბ სანდროს-ძე მეფარიშვილი**  
**(25.08.1934 -2015)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (29.04.1997)**

დაიბადა ქ.ბათომში.

დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი 1957 წ.

1988 წლამდე მსახურობდა საბჭოთა ჯარში.

1992-1995 წწ. -მსახურობდა 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურად.

1995-1996 წწ. მსახურობდა მთავარი შტაბის უფროსის მოადგილედ;

1996 წლის 24 მაისს მიენიჭა „გენერალ-მაიორის,, სამხედრო წოდება.

1996 წელს.- მსახურობდა მთავარი შტაბის უფროსად;

1996-1998 წწ. მსახურობდა - თავდაცვის მინისტრის 1-ლ მოადგილედ.

დაჯილდოებულია - „ვახტანგ გორგასლის,, მე-II და მე-III ხარისხის ორდენით., მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის,, და „მხედრული მამაცობისათვის,, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში.





**რომან ნოდარის-ძე დუმბაძე**  
**(17.03.1964-21.05.2012)**  
**გენერალ-მაიორი (04.08.1998)**

დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ფუშკურაულში.

1987 წელს დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი;

1999 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

1987-1991წწ. მსახურობდა გდრ-ში განლაგებულ საბჭოთა ჯარებში, შემდეგ შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის სამხედრო ოლქებში თავდაპირველად ტანკ-სანიანააღმდეგო ოცეულის, შემდეგ ნაღმტყორცნელთა ბატარეის მეთაურად;

1992 წელს დაბრუნდა საქართველოში და მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლკის შტაბის უფროსად;

1993-1994 წწ. მსახურობდა 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურად;

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე იყო შერაცხული მოღალატედ მთავარსარდლისადმი დაუმორჩილებლობისა და იმ მუქარების გამო, რასაც ცენტრალური ხელისუფლების მისამართით საჯაროდ გამოთქვამდა აჭარის კრიზისის დღეებში. 2004 წელს დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით (მიესაჯა 17 წელი);

2008 წელს პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცვალა რუსეთის მიერ დაპატიმრებულ 12 ქართველ სამხედრო პირზე;

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, მე-III ხარისხის ორდენით (1994).

ტრაგიკულად დაიღუპა ქ.მოსკოვში.



ილია ვლადიმერის-ძე წულუკიძე  
(დ.28.09.1950)  
პოლიციის გენერალ-მაიორი (09.11.1998)

დაიბადა ქ.ბათუმში.

1974 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი, ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით.

1987 წელს დაამთავრა ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა და მიიღო უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლება.

1996 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტ-სამართალმცოდნის სპეციალობით.

1974-75 წწ. მსახურობდა საბჭოთა ჯარში.

1975-77 წწ. მუშაობდა ბათუმის № 44 სამშენებლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ტექნიკური ხაზვის მასწავლებლად.

1977-91 წწ. იმყოფებოდა კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოების სამსახურში.

1991-97 წწ. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1997-98 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1-ლ მოადგილედ.

1998-99 წწ. და 2001-2003 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მინისტრად, 2000-2001 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ, ქ.ბათუმის ვიცე-მერად და მერის მოვალეობის შემსრულებლად.

2004 წლის 10 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ

კანონის დარღვევით იქნა მიჩნეული ბრალდებულად და წინასწარ პატიმრობაში აყვანილად.

2004 წლის 4 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმისა და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შედეგად იქნა გათავისუფლებული პატიმრობიდან ;

2004 წლიდან დღემდე ეწევა საადვოკატო პრაქტიკას. არის სერტიფიცირებული ადვოკატი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯერ უშიშროების და შემდეგ შინაგან

საქმეთა მინისტრის რანგში ყოფნის პერიოდში გენერალი ილია წულუკიძე ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქმიანი კონტაქტების დამყარებასა და თანამშრომლობას უკრაინასთან და თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა სამინისტროების კოლეგებთან. ყველა დავალებას, ყველა საქმეს გენერალი ილია წულუკიძე ემსახურა უმნიშვნელოდ, ჩვეული შემართებით, პატრიოტული თავდადებით. ეს ენციკლოპედიურად განათლებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და სამაგალითო მეთაური, ცხოვრებაში თავმდაბალი, გამოირჩეოდა და გამოირჩევა მდიდარი შინაგანი კულტურით და ტაქტით, სიდინჯითა და მშვიდი ხასიათით, მაგრამ საოცრად შეუპოვარი ხდებოდა, როცა გულგრილობას, უხამსობასა და უზნეობას წააწყდებოდა. მისი ცხოვრების კრედო ყოველთვის იყო - პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა, პირადი პასუხისმგებლობა, კანონის მოთხოვნების დაცვა და მისი უზენაესობის სრული პატივისცემის დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

დამსახურებისათვის სამშობლოს წინაშე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (22.11.2000);

მინიჭებული აქვს „საქართველოს შსს დამსახურებული მუშაკის,, საპატიო ნოდება (2001)

საქართველოს უშიშროების მინისტრის ბრძნებით (1994)დაჯილდოებულია სახელობითი ცეცხლსასროლი იარაღით;

მიღებული აქვს საქართველოს შსს და უკრაინის შსს უწყებრივი ჯილდოები (2001 და 2003 წწ.) , აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი (2001);

არჩეულია საქართველოს შსს პოლიციის აკადემიის საპატიო პროფესორად (27.05.2003)

მინიჭებული აქვს სომხეთის რესპუბლიკის გრიგორ ნარეკაციის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (15.11.2001)

ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარედ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (30.04.2019).

განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წინაშე დაჯილდოებულია „წმინდა გიორგის,, ნიშნით (28.09.2020).



ელგუჯა ვიქტორის-ძე მეძმარიაშვილი  
(დ. 17 .08. 1946 )  
გენერალ-მაიორი (11.10.1999)

დაიბადა ქ.ბათუმში.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი 1969 წელს.

1973 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;

1985-1995 წწ. მუშაობდა უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგედ;

1995-2004 წწ. მის მიერ დაარსებული სპეციალური ნაგებობების კათედრის გამგეა;

1981-1990 წწ. სახელმწიფო სამხედრო-კოსმოსური პროგრამისა და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალების მთავარი კონსტრუქტორი და მიმართულების ხელმძღვანელია; საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი;

1999-2005 წწ. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის რექტორად;

1999-2003 მსახურობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველად ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში;

1981-1990 პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია, კოსმოსური და მიწისზედა, რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის მთავარი კონსტრუქტორია;

1975 წლიდან არის სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი;

2002-2006 ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროგრამის შესაბამისი ახალი თაობის თანამგზავრების კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების შექმნის თეორიული საფუძვლების ავტორია;

1975-1995 შექმნილი აქვს ტრანსფორმირებადი სისტემების თეორია;

1985 წელს დაარსებული აქვს საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი და მისი უნიკალური სასტენდო კომპლექსი;

2000 წლიდან მუშაობს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში;

არის 270-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და გამოგონების ავტორი.

არჩეულ იქნა საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრად (1999-2004)

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორია (1993), ტექნიკის მეცნიერებათა ადოქტორი, პროფესორი, ევრაზიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1992)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2000)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი (1994), საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემიის წევრი (1999)

დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, I-ი ხარისხისა და „ღირსების,, ორდენებით, და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის,,

მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია.



**ენვერ სულეიმანის-ძე ხალვაში**  
**(დ.11.02.1967)**  
**პოლიციის გენერალ-მაიორი (23.05.2000)**

დაიბადა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში.  
1995-1999 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ.  
1993-1994 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ შსს მინისტრის 1-ლ მოადგილედ.  
1999-2001 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ შსს მინისტრად.



**თენგიზ შუქრის-ძე კონცელიძე**  
**(დ.05.03.1954)**  
**გენერალ-მაიორი (02.08.2000)**

დაიბადა ბათუმის რაიონის დაბა მახინჯაურში.  
2000 წლამდე მსახურობდა აჭარის ა/რ უშიშროების მინისტრის მოადგილედ.  
2000-2003 წწ. მსახურობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების შტაბის აჭარის ა/რ რეგიონის სამმართველოს უფროსად.  
2004 წლიდან თადარიგშია. ცხოვრობს ბათუმში.



**გიორგი ალექსანდრეს-ძე კუპრეიშვილი**  
**(დ.14.01.1954)**  
**გენერალ-მაიორი (30.11.2000)**

დაიბადა ქ.ბათუმში.

1971-1977 წწ. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში;

1977-1978 წწ. მუშაობდა ქ.ქუთაისის მცირე გაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორად;

1978-1981 წწ. მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ინჟინერ-კონსტრუქტორად;

1981-1982 წწ. სწავლობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინსკის უმაღლეს სასწავლებელში;

1982-1984 წწ. მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ვოლგოგრადის სამმართველოს ქ.კამიშინის საქალაქო განყოფილების ოპერატიულ თანამშრომლად;

1985-1986 წწ. მსახურობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ვოლგოგრადის სამმართველოს მე-5 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომლად;

1986-1989 წწ. იმყოფებოდა აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კადრების განკარგულებაში;

1989-1991 წწ. მსახურობდა აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-3 განყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომლად;

1988 სწავლობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კიევის უმაღლესი სასწავლებლის კურსებზე;

1991-1996 სწავლობდა და დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

1991-1992 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროები სკომიტეტის მე-3 განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1993 წელს მსახურობდა აჭარის ა/რ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ტერიტორიული უსაფრთხოების ბიუროს მე-3 განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1993-1994 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მე-4 განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად;

1994 წელს იმყოფებოდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კადრების განკარგულებაში;

1994-1996 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ;

1994 წლის 18 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1996-2004 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რს ახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ;

2004-2005 წწ. გადაყვანილ იქნა საქართველოს უშიშროების სამინისტროს კადრების სამმართველოს განკარგულებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 იანვრის 134 ბრძანების საფუძველზე დაწესებულების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან.

2004 წლის 5 მაისს იქნა დაკავებული საქართველოს პრეზიდენტზე ტერაქტისა და ჟურნალის ტვახტანგ კომანდოს ძარცვის დაცემის გამო, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის მცდელობის ორგანიზების ფაქტზე, ხოლო გაასამართლეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, რაც გამოიხატა იარაღის უკანონო შექმნა-შენახვაში, უკანონო მოსმენებში, პატიმრის უკანონო პატიმრობაში ყოფნისათვის და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ 2012 წლის ნოემბერში საქართველოს პროკურატურამ მისი განცხადების საფუძველზე დაიწყო ხელახალი გამოძიება მისი უკანონო პატიმრობასა და მის მიმართ ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დანაშაული გათვლისწინებული საქართველო სსსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. მის მიმართ ბრალდების 6 ეპიზოდზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენების გადახედვისას, ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული მტკიცებულებების გაანალიზების და შეფასების შემდეგ, მთავარი პროკურატურა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არა თუ არ არსებობს გიორგი კუპრეიშვილის მიერ ისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გონივრულეჭვს მიღმა სტანდარტი, არამედ არსებობს მაღალი ალბათობა პოლიტიკური ნიშნით მისი განზრახ უკანონო დაკავებისა და მსჯავრდების შესახებ.

2018 წლის აპრილში საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მიმდინარეობს ამჟამად მისი განხილვა.

არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია მედლით, მხედრული მამაცობისათვის,, (1995) და „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომლის,, სამკერდე ნიშნით. (1997).

ცხოვრობს ბათუმში.





**ირაკლი ტოგოს-ძე განუგრავა**  
**(დ.16.12.1955)**  
**პოლიციის გენერალ-მაიორი (08.11.2002)**

დაიბადა ქ.ბათუმში.  
1999-2000 წწ. მუშაობდა შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.  
2001 წლიდან მუშაობდა შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.



**ვლადიმერ გურამის-ძე იმნაძე**  
**(დ.27.12.1954)**  
**ბრიგადის გენერალი (05.03.2003)**

დაიბადა ქ.ბათუმში.  
1972-1976 წწ. სწავლობდა თბილისის უმაღლეს სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელში,  
1983-1986 წწ. - სწავლობდა უმაღლეს საარტილერიო აკადემიაში.  
1976-1991 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ბოლო წოდება საბჭოთა არმიაში -პოდპოლკოვნიკი (1990).  
1991 -2005 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1993 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1998 - 1999 წწ. მსახურობდა სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსად;

1999-2000 წწ. - მსახურობდა დასავლეთის ოპერატიული მიმართულების სარდლის პირველ მოადგილედ;

2001-2002 წლებში - მსახურობდა სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსად;

2002 წელს - მსახურობდა სახმელეთო ჯარების სარდლად;

2002-2003 წწ. - მსახურობდა გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსად;

2003 წელს - მსახურობდა გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად;

2004 წელს მსახურობდა გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობისა და სამობილიზაციო დეპარტამენტის უფროსად.

2004-2005 წწ. მსახურობდა საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის 1-ლ მოადგილედ.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

ამჟამად მუშაობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორად. დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის,, მე-III ხარისხის (2002) ორდენით და მედლებით: „მხედრული მამაცობისათვის“; „საბრძოლო დამსახურებისათვის“; „სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების,, I-ი ხარისხის ნიშნით.

ენვეა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არჩეულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების საპატიო წევრად (2019).



**გელა გენადის-ძე უღრელიძე**  
**(დ.15.08.1960)**  
**ბრიგადის გენერალი (05.03.2003)**

დაიბადა ქ.ბათუმში.

დაამთავრა ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა 1977 წელს, თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი 1982 წელს და უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემია 2000 წელს.

1982-84 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში.

1984-1992 წლებში მსახურობდა საქართველოს სამხედრო კომისარიატების სისტემაში.

1992-1996 წლებში მსახურობდა მარნეულის რაიონის სამხედრო კომისრად.

1996-1997 წლებში მსახურობდა ქ.თბილისის ისნის რაიონის სამხედრო კომისრად.

1997-2000 წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო კომისრად.

2000-2001 წლებში მსახურობდა გენერალური შტაბის მთავარი საორგანიზაციო-სამოხილიზაციო სამმართველოს უფროსად.

2001-2004 წლებში მსახურობდა გენერალური შტაბის J-1-ის პირადი შემადგენლობისა და საორგანიზაციო-სამოხილიზაციო მთავარი სამმართველოს უფროსად.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

აქვს მიღებული უწყებრივი ჯილდოები.

2004 წლიდან თადარიგშია. ცხოვრობს თბილისში.



**ნოდარ ხუსენის-ძე ჯიჯავაძე**  
**(25.03.1949-25.05.2018)**  
**გენერალ-მაიორი (25.05.2003)**

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ მერისში.

1966 წელს დაამთავრა ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა.

1978 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ.ბათუმის პედინსტიტური და  
1983 წელს ლენინგრადის სუს-ის უმაღლესი სკოლა.

1971 -1991 წწ. მსახურობდა საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

1992-2004 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახ.უშიშროების სამინისტროში.

2000 -2004 წწ. მსახურობდა აჭარის ა/რ სახ.უშიშროების მინისტრის მოადგილედ.

2004 წლიდან თადარიგში იყო. ცხოვრობდა ბათუმში.

გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია ბათუმში.

**ცინცაძე აკაკი მიხეილის-ძე**  
(დ.02.08.1949)  
**გენერალ-მაიორი(12.07.2004)**



დაამთავრა ბათუმის 21-ე საშუალო სკოლა 1966 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედინსტიტუტი 1971 წელს, სსრკ სახ.უშიშროები სუმაღლესი კურსები 1975 წელს და სსრკ სახ.უშიშროების ხელმძღვანელ მუშაკთა უმაღლეს იკურსები 1985 წელს.

1974 -1991 წწ.მსახურობდა აჭარის ასსრ სახ.უშიშროების კომიტეტში.

1991-1992 წწ. მსახურობდა საქართველოს დაზვერვის სამმართველოში,

1992-1995 წწ. მსახურობდა ფოთის უშიშროების საქალაქო განყოფილების უფროსად.

1995-1997 წწ.მსახურობდა კ/დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1997-1999 წწ. მსახურობდა სახ.უშიშროების სამსახურის თბილისის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ.

1999-2004 წწ.მსახურობდა აჭარის ა/რ უშიშროების დეპარტამენტის უფროსად.

2004 წლის 12 მაისიდან -28 დეკემბრამდე მსახურობდა აჭარის ა/რ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად.

2004 წლის 28 დეკემბრიდან მუშაობდა შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროსად.



**მალხაზ მაკარაძე**  
**(დ.25.06.1975)**  
**ბრიგადის გენერალი (30.04.2019)**

დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში.

დაამთავრა გაერთიანებული სამხედრო აკადემია, მოტომსროლელი ჯარების სამეთაურო-საშტაბო კურსი (1999); აშშ-ს ქვეითთა სასწავლებელი, მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსი (2007); აშშ-ს საზღვაო კორპუსის უნივერსიტეტი, საზღვაო ქვეითების სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი (2015), აშშ-ს სტრატეგიული ლიდერების საერთაშორისო კურსი (2017).

2000-2001 წწ. მსახურობდა მცირე ინტენსივობის კონფლიქტში სამხედრო ოპერაციათა მოსამზადებელ ცენტრ-ბაზა „კოჯორში“, მსუბუქი ქვეითი ასეულის მეთაურად;

2001-2002 წწ. მსახურობდა სწრაფი რეაგირების ძალების ბაზა „კოჯორში“ - მეთაურის მოადგილედ / სპეციალური დანიშნულების ძალების ბაზა „კოჯორის“ - მეთაურის მოადგილედ;

2002-2003 წწ. მსახურობდა სახმელეთო ჯარების შტაბის, G-3 ოპერატიული სამმართველოს საბრძოლო მზადყოფნისა და დაგეგმარების უფროს ოფიცრად;

2002-2003 წწ. მსახურობდა ოცეულის მეთაურად სამშვიდობო მისიაში (კოსოვოში);

2003-2005 წწ. მსახურობდა ლოგისტიკის ბატალიონის მეთაურის მოადგილედ;

2005 წელს - მსახურობდა ერაყში, პოსტ-კონფლიქტურ ვითარებაში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში მეკავშირე-ოფიცრად;

2006-2007 წწ.- მსახურობდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში, მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის უფროსად;

2008 - 2009 წწ. მსახურობდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის უფროსის მოადგილედ;

2009-2010 წწ. მსახურობდა სახმელეთო ჯარების მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაურად;

2010-2011 წწ. მსახურობდა წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილედ;

2012 წელს მსახურობდა სერჟანტთა მომზადების სკოლის მეთაურად;

2012-2013 წწ. მსახურობდა სახმელეთო ჯარების სარდლობის შტაბის უფროსად, აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად;

2014-2015 წწ. მსახურობდა წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილედ;

2015-2016 წწ. მსახურობდა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად;

2016-2019 წწ. მსახურობდა წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლად;

2019 წლიდან სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორია.

დაჯილდოებულია

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით(2003)

მედლებით „მხედრული მამაცობისთვის,, (2010),

„საბრძოლო დამსახურებისთვის“ (2012)

უწყებრივი მედლებით (I, II, III ხარისხის),„გენერალი კვინიტაძე“(2010)

„გენერალი მაზნიაშვილი“ (2010; 2016),

სამშობლოსათვის თავდადებული“(2011; 2016)

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“(2012), ნატო-ს კოსოვოს მედლით (2003),

აშშ-ს არმიის მედლით „სამხედრო მიღწევისთვის,,(2005).



კონცელიძე რესან იუსუფის-ძე  
(დ.10.07.1963)  
პოლიციის გენერალ-მაიორი (21.05.2020)

დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფ.გორგაძეებში.

1990 დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი, 1993 რუსეთის ფედერაციის შსს აკადემია და იმავე აკადემიის ასპირანტურა (1993).

1993-95 მუშაობდა აჭარის არ შსს სამმართველოს უფროსად.

1995-97 მუშაობდა აჭარის არ პროკურატურის სისტემაში.

2002-04 მუშაობდა აჭარის არ პროკურორად.

2004 წლიდან მუშაობდა აჭარის არ პროკურატურაში განყოფილების უფროსად, ქედის რაიონის პოლიციის უფროსად.

2016-2020 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ.

„ქართული ოცნება“ პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. ის არჩევნების მოგებას „ოცნების“ სახელით ბათუმში შეეცდება.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია (1993).

„უმაღლესი განათლების შესახებ,, კანონის 89-ე მუხლის, მე-9 პუნქტის თანახმად, 2006 წლის 31 დეკემბრამდე, მის მიერ დაცული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან.

მინიჭებული აქვს საქართველოს შსს დამსახურებული მუშაკის წოდება (2001).

მინიჭებული აქვს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის წოდება (29.05.2003).





ოსმალეთის იმპერია



**ალი ფაზა (თავდგირიძე)  
(1854-1921)  
გენერალ-ლეიტენანტი**

ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილ თავდგირიძეთაგან პირველმა ისლამი მამუკა თავდგირიძის ვაჟმა, მაქსიმემ მიიღო. ის სულეიმანად იწოდა და ოსმალებმა ჩურჩუქ-სუს კაზის გამგებლად დანიშნეს. სულეიმანის შვილი იყო მემედ-ბეგი, ხოლო მემედ-ბეგის შვილები ოსმან-ბეგი და ალი-ფაზა. წლების მანძილზე ცდილობდნენ თავდგირიძეები ფაშის ტიტული მიეღოთ, თუმცა ეს მხოლოდ ალი თავდგირიძემ შეძლო, რომელიც ისტორიას ალი-ფაზა თავდგირიძის სახელით შემორჩა.

ალი თავდგირიძე თავდაპირველად სტამბოლში, სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ ოსმალეთის არმიაში მსახურობდა. მოგვიანებით დაბრუნდა მშობლიურ მხარეში, ქვემო გურიაში, რომელიც უკვე ჩურჩუქ-სუს სახით ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და გრიგოლ გურიელს დაუახლოვდა. ალი თავდგირიძის სახლში ღამეს ათევდნენ ყაჩაღები, რომლებიც გურიიდან გოგო-ბიჭებს იტაცებდნენ და შემდეგ ტყვედ ჰყიდდნენ ოსმალეთში. ის აჭარაში ერთ-ერთ სასტიკ მმართველად ითვლებოდა.

ალი-ფაზას ფაშად გახდომაში დიდი როლი ითამაშა მისმა დედამ, ლაზმა ქალმა დინდინ ხანუმმა. დინდინ ხანუმი ძლიერი და გაბედული ქალი იყო, აქტიურად იბრძოდა ყირიმის ომში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ის სულთნის კარამდე ჩავიდა შვილისთვის ფაშის ტიტულის სათხოვნელად. მას შემდეგ, რაც ალი თავდგირიძემ ფაშობა მიიღო, კიდევ უფრო სასტიკი და დაუნდობელი გახდა. ანდაზაც იყო აჭარაში გავრცელებული: „ალი-ფაზას სამართალი ფულით იყიდებოდა“.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ალი-ფაზამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 1877 წელს გრიგოლ გურიელი აჭარის მმართველ ბეგებთან

მოლაპარაკებას აწარმოებდა. გურიელი ბეგებს სთხოვდა რუსეთის არმიისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ და ბრძოლა არ გაემართათ. მათ შორის იყო ალი-ფაშაც. გურიელი სთხოვდა ალი-ფაშას, დაფიქრებულიყო და რუსეთის მხარეს გადასულიყო. თუ ასე მოიქცეოდა პატივი და დიდება არ მოაკლდებოდა. და არც ხალხი დაილუპებოდა უაზრო ბრძოლაში. ალი-ფაშა მოლაპარაკებებისას შეხვდა ქუთაისის გუბერნატორს და შესთავაზა ქობულეთის მხარის მოსახლეობის მხარდაჭერა, თუ რუსეთი ომში გამარჯვების შემდეგ ქვემო გურიას მას დაუმტკიცებდა სამფლობელოდ. სხვადასხვა ცნობის მიხედვით, ალი ფაშას უნდოდა რუსეთის მხარეს გადასვლა, მაგრამ ოსმალთა მმართველებს ვერ დააღწია თავი. ერთის მხრივ რუს გენერლებს წერილებს წერდა, მეორეს მხრივ კი ოსმალთა მმართველებს ერთგულებას ეფიცებოდა. ოსმალებმა შეიტყვეს მისი ლალატი. სწორედ ოსმალეთისადმი ლალატის ეს ფაქტია ასახული მასზე შექმნილ ხალხურ სიმღერაში „ალი-ფაშა“.

ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგივე არის ორივე ეშვი  
ალი ფაშამ გვილალატა ჩაგვიყვანა კვირიკეში  
იმან ფულები აიღო ჩვენ ჩაგვიყარა რუსის ხელში  
კაი არც მას დამართნია ბანრით ჩაითრიეს გემში  
მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში

ლეგენდის თანახმად, მას შემდეგ, რაც ალი-ფაშას ორგულობის შესახებ შეიტყვეს, ოსმალებმა გემზე აიყვანეს, ორი კილო ოქრო გააღწეს, პირში ჩაასხეს და ისე იძიეს შური. თუმცა წყაროების ცნობით ეს ფაქტი არ დასტუდება. ომის შემდგომ, რაც რუსეთის იმპერიამ აჭარა შეიერთა ქართველი მუსლიმი გადასახლდა ოსმალეთში, ბევრი სწორედ ალი ფაშას დიდი ძალისხმევით. ალი-ფაშა ჯერ ბათუმში, შემდეგ ქობულეთში დაბრუნდა და მუჰაჯირობის მსურველებს უწყობდა და ხელს ოსმალეთის იმპერიაში გადახვეწაში. ალი-ფაშა ხალხში დადიოდა და მოუწოდებდა, არ დარჩენილიყვნენ, მუსლიმობა ცუდ დღეში ჩავარდება და ყველას გაგაქართველებენო. ალი-ფაშა თავდგირიძე მიუხედავად მისი სისასტიკისა და უსამართლობისა ხალხში მაინც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ის იყო ადამიანი, რომელსაც ხალხი უსმენდა. სწორედ ამ ფაქტორის გამო მას ხალხი ენდო. როგორც კი ალი-ფაშამ დაინახა ხალხის ნდობა, უკან სტამბოლში დაბრუნდა, სულთნის წინაშე წარდგა და უთხრა, მთელს ჩემს მხარეს ოსმალეთში გადმოსახლება სურს და ამ საქმეში დაგვეხმარეთო. სულთანმა ამის გამო ალი-ფაშა დააჯილდოვა და უკან საქართველოში გამოუშვა. ალი-ფაშა დაბრუნდა საქართველოში და ქობულეთში ხალხის მომზადება დაიწყო ოსმალეთში გადასახლებადად. მუჰაჯირობის ტალღა კახაბერსა და მარადიდსაც გადასწვდა. ხალხი სახლებს, ქონებას ჩალის ფასად ჰყიდდა და ოსმალეთში მიდიოდა უკეთესი ცხოვრების იმედით. ოსმალეთში გადასახლდა თავად ალი-ფაშაც. მას იმ ღვანლისთვის, რაც ოსმალეთის იმპერიისთვის გაიღო, პენსია დაუნიშნეს და ქალაქ სამსუნის მახლობლად დაასახლეს, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალა კიდეც.



ალი რიზა ფაშა (ჯაყელი)  
(1854-1921)  
გენერალ-ლეიტენანტი

დაიბადა ქ.ართვინში.

ალი რიზა ფაშა საქართველოს ერთ-ერთი ძველი და წარჩინებული გვარის, ათაბაგების წარმომადგენელია. იგი ღაზი სეფერ ფაშას შვილიშვილის, მეჰმედ მედეთ ბეის შვილია. არზრუმში სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სტამბოლში, სამხედრო სახმელეთო-საინჟინრო სასწავლებელში, რომელიც 1881 წელს დაამთავრა უმცროსი ლეიტენანტის წოდებით და განწესებულ იქნა საარტილერიო ქარხანაში სამუშაოდ.

1882 წელს ალი რიზა გერმანიაში გააგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. სწავლაში მიღწეული წარმატებებისათვის გერმანიის იმპერატორმა უფროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭა. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ იგი სულთანის ადიუტანტის საპატიო თანამდებობაზე დანიშნეს და ქოლალას წოდება მიანიჭეს. მუშაობდა საარტილერიო სასწავლებლის მასწავლებლად. 1889 წელს განამწესეს მე-4, მე-5 და მე-6 არმიების საარტილერიო შენაერთებში, სადაც მათ წვრთნას ხელმძღვანელობდა. არტილერიის დარგში რამდენიმე ნაშრომის გამოცემის შემდეგ, დაანიშნაურეს და 1894 წელს, ბრიგადის გენერლის წოდებით, საბერძნეთის საზღვარზე განლაგებული საარტილერიო ჯარების სარდლად დანიშნეს.

ბერძნებთან ომში მიღწეული წარმატებებისთვის, ალი რიზა დააჯილდოვეს დიდების მედლით და მეჯიდის პირველი ხარისხის ორდენით. ომის შემდეგ დივიზიის გენერლის წოდება და ოსმანის ორდენი მიანიჭეს. 1896 წელს იგი შავი ზღვის სრუტისა და ჩათალჯას ხაზის გასამაგრებლად გაგზავნეს. 1897 წელს არტილერიის სფეროში სიახლეების შესასწავლად ევროპაში მიაგვლინეს. ამ ვიზიტისას მან

გერმანიის, ბელგიის, ავსტრიისა და საფრანგეთის საარტილერიო ქარხნები და ამ ქვეყნების საარტილერიო მიღწევები აითვისა.

1903 წელს ალი რიზა მეორედ მიავლინეს შავი ზღვის სრუტის გასამაგრებლად და მიანიჭეს სრული გენერლის ჩინი. ქვეყანაში კონსტიტუციური წყობის დამყარების შემდეგ, ხელმძღვანელობდა არსენალს და სამხედრო სასწავლებლების სამმართველოს. იყო სამხედრო მინისტრი. მოგვიანებით უმაღლესი სამხედრო საბჭოს და სენატის წევრი გახდა. ქემალ ფაშას კაბინეტში საზღვაო მინისტრის პორტფელი ჩააბარეს. 31 მარტის მოვლენების დროს, მას თავს დაესხნენ მეჯლისის შენობის წინ.

გერმანიის სახელმწიფოსგან ალი რიზას მიღებული ჰქონდა სამეფო გვირგვინის პირველი ხარისხის და წითელი არწივის მეორე ხარისხის, რუსეთის იმპერიისგან წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის, ავსტრიისგან ფრანც-იოსების მეორე ხარისხის ორდენები.

ალი რიზა ფაშა სარდლობდა ჩანაქქალეს დამცველებს იტალიასთან ომის დროს, 1911 წელს და ჩათალჯას დამცველებს 1912 წელს, ბალკანეთის ომების დროს. 1919 წელს იგი მინისტრთა საგანგებო საბჭოს წევრი, ხოლო 1920 წელს სენატის სპიკერი გახდა.

ცნობილია ალი რიზას გამოსვლა 1920 წელს, ილდიზის სასახლეში გამართულ სახელმწიფო საბჭოს ბოლო კრებაზე, როცა იგი სევრის ხელშეკრულების მიღების წინააღმდეგ გამოვიდა.

ალი რიზა ფაშას საარტილერიო თემაზე გამოცემული აქვს რამდენიმე ნაშრომი: „სროლის წესები“, „დამოუკიდებელი სიმაგრე“, „ინსტრუქცია საველე არტილერიის მსროლელთა წვრთნისათვის“, „საველე შეკრებისთვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის ცხრილი“, „სამხედრო სამსახური მშვიდობიან და საომარ ვითარებაში“ და სხვა. იცოდა ფრანგული და გერმანული ენები. მისი მეუღლე იყო ერკინისლი ჰუსეინ ჰუსნუ ფაშას ასული სადიკა, რომელთანაც შეეძინა ერთი ვაჟი – ფალიზ ბეი.

ალი რიზა ფაშა მხარს უჭერდა თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ასაკისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მასში მონაწილეობა ვერ მიიღო. გარდაიცვალა 1921 წელს, სტამბულში, საკუთარ სახლში. დაკრძალულია ფათიჰის მეჩეთის ეზოში. მისი საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „სიკვდილს ყველა გაუსინჯავს გემოს (ანკებუტის სურა 57). დივიზიის გენერალი ალი რიზა ფაშა იყო მეჰმედ მედეთ ბეის შვილი, ქართველი ათაბაგების საგვარეულოდან. იგი ერთადერთია ვინც, ფადიშაჰის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, სევრის უდღეურ ხელშეკრულებას შეენინააღმდეგა. ყველას ახსოვდეს ეს ისტორიული მოვლენა და აღავლინოს ლოცვა განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 1921 წლის 27 მაისი“.

მუსტაფა ქემალ ათათურქმა ალი რიზა ფაშას გარდაცვალების გამო მის შვილს, ფაზილ ბეის, ასეთი შინაარსის სამძიმროს წერილი გაუგზავნა: „მამათქვენს ჩვენი ხსნისა და ჩვენი ქვეყნის გადარჩენის იმედი ჰქონდა. გისამძიმრებთ და დიდი პატივისცემით გეამბორებთ. მუსტაფა ქემალი“.



**ბაჰრი-ფაშა თავდგირიძე  
(1870-1915)  
გენერალ-ლეიტენანტი**

დაიბადა ჩურუქსუში (ქობულეთში)

ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალი, 1883). მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–1878) ომში. იყო დივიზიის უფროსი. სხვადასხვა დროს ეკავა შკოდერის და ვანის ვალის თანამდებობები. 1909 წელს თანამდებობიდან გადადგა. დაკრძალულია, სტამბოლში, კარაჯაახმადის სასაფლაოზე.

**მაჰმუდ ფაშა (თავდგირიძე)**  
**(Çürüksulu Mahmud Pasha)**  
**(1864-31.07.1931)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (1913)**



დაიბადა ჩურუქ-სუმი (ახლ. ქ. ქობულეთი) ჰუსეინ-ბეი თავდგირიძის ოჯახში. დაწყებითი განათლება ქობულეთში მიიღო. 1874 წელს სტამბოლში ჩავიდა და ჩაირიცხა ქულელის საშუალო სამხედრო სასწავლებელში. 1887 წელს კი სამეფო სახმელეთო-საინჟინრო სასწავლებელი დაამთავრა, უფროსი ლეიტენანტის წოდებით. 1888 წელს, სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, შტაბს-კაპიტანის წოდება მიანიჭეს და გაანაწილეს ოსმალეთის გენერალურ შტაბში. მონაწილეობდა კრეტის ამბოხების ჩახშობაში, შემდეგ კი საბერძნეთის საზღვარზე სადაზვერვო ჯგუფს შეუერთდა. 1891 წელს მაიორის წოდება მიიღო და ჰიჯაზის სამხედრო დივიზიის განკარგულებაში გადავიდა. ამ პერიოდში ჯერ ჰალეების სარეზერვო დივიზიის შტაბის უფროსის, შემდეგ კი დამასკოში დისლოცირებული მეხუთე არმიის შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობებზე იმყოფებოდა. აქვე მიიღო ვიცეპოლკოვნიკის წოდება. 1896 წელს დრუზების აჯანყების ჩახშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამის შემდეგ იგი სტამბოლში, გენერალურ შტაბში დააბრუნეს. 1897 წელს მონაწილეობდა საბერძნეთთან ომში. შემდეგ კი ჯერ ალასონიის არმიის მე-5 დივიზიის სარდლად, მოგვიანებით კი თესალიის რკინიგზის კომისრად დაინიშნა. 1899 წელს პოლკოვნიკის წოდება მიიღო და კეთილმოწყობის სამინისტროში სამხედრო წარმომადგენლად დაიწყო მუშაობა.

1901 წელს სულთან აბდულჰამიდ II-ს წარუდგინეს პოლიციის უსაფუძვლო პატაკები სტამბოლში მყოფი ქართველების ტახტის მემკვიდრესთან კავშირის თაობაზე, რის საფუძველზეც მაჰმუდ ფაშა და მისი ნათესავები ჰალეებში გადაას-

ახლეს. კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ იგი სტამბოლში დაბრუნდა, გენერალური შტაბის პირველი განყოფილების დირექტორად დაინიშნა და ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო. ცოტა ხანში გენერალური შტაბის მეორე უფროსად გადაიყვანეს. მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის არმიის მოდერნიზაციაში გერმანიის უმაღლესი სარდლობის ეგიდით. 1910 წელს ინგლისური არმიის საშემოდგომო მანევრებზე დასაკვირვებლად ინგლისში გაემგზავრა. დაინიშნული იყო საზოგადოებრივ საქმიანობათა მინისტრად პოლიტიკურ პარტია „ერთიანობა და პროგრესი“. დიდი წვლილი აქვს შეტანილი 1911 წელს ტრიპოლიტანიის ომის დროს ამ მხარეში საბრძოლო მასალების გადასროლაში. 1912–1913 წლების ბალკანეთის ომების დროს მე–17 კორპუსის ხელმძღვანელად დაინიშნა. მან ქირქქილისეს ბრძოლების დროს განადგურებული მე–3 კორპუსის გადარჩენილი ნაწილები შეკრიბა, მე–6 კორპუსთან ერთად პოზიციები გაამაგრა და ჯარის უკან დახევა შეაჩერა. ლულებურლაზის ბრძოლისას უკუაგდო ბულგარელების შეტევა, მაგრამ ორივე ფლანგის უკან დახევის გამო, ისიც იძულებული გახდა ჩათალჯას ხაზზე დაბრუნებულიყო. მუჰთარ ფაშას დაჭრის შემდეგ მესამე კორპუსის სარდლად მაჰმუდ ფაშა დაინიშნა.

1913 წლის 24 იანვრიდან 1914 წლის 9 მარტამდე მაჰმუდ შევკათ ფაშას კაბინეტში საზღვაო მინისტრის თანამდებობა ეკავა. 1913 წლის 29 სექტემბერს ბულგარეთთან დადებულ სტამბოლის ხელშეკრულებას თურქეთის სახელით მან მოაწერა ხელი. ბალკანეთის ომებში განეული სამსახურისთვის დივიზიის გენერლის წოდება მიანიჭეს. 1914 წლის 14 მარტს სენატის წევრი გახდა. საიტ ჰალიმ ფასას კაბინეტში საზღვაო და კეთილმოწყობის მინისტრების პორტფელები ჩააბარეს. იგი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, მობილიზაციის წინაარმდეგ გამოვიდა, მას მიაჩნდა, რომ ოსმალეთი მზად არ იყო ომისთვის, გადადგა და სამშობლოს მონახულების საბაბით ბათუმში გაემგზავრა. 1918–1919 წლებში, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ პირველ მსოფლიო ომში, ხელმძღვანელობდა კომისიას საზავო მოლაპარაკებებზე. 1919 წელს მხარი დაუჭირა სომხებს ტერიტორიალური დათმობების საკითხებში, რამაც ათათურქის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია.

1919 წელს, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაპიზონსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. სტამბოლის ოკუპაციისა და დეკლარატორების კრების დათხოვნის შემდეგ, 1920 წლის 16 მარტს გენერალ მილნეს გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და მალტაზე გადაასახლეს.

მაჰმუდ ფაშას დაპატიმრება გააპროტესტა იტალიის უმაღლესმა კომისარმა, რომელმაც სტამბოლში ინგლისის უმაღლეს კომისარს სთხოვა მისი გათავისუფლება. თხოვნა შემდეგი მოტივებით იყო დასაბუთებული: „ქობულეთელი მაჰმუდ ფაშა კეთილმოწყობის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს ოსმალეთის იმპერიის ომში ჩართვის წინააღმდეგ გამოვიდა. ომის მსვლელობისას



სენატში „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრებს აკრიტიკებდა და ამის გამო პენსიაში გაუშვეს. ზავის დადების შემდეგ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრებთან კავშირი არ დაუმყარებია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ ფრთასთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს. მაჰმუდ ფაშა არ მოიაზრება „საშიმ ნაციონალისტად“, თუმცა იგი, უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილებით, მაინც ამ ბრალდებით დააპატიმრეს“.

ადმირალმა დე რობეკმა იტალიის უმაღლეს კომისარს საპასუხოდ აცნობა, რომ მაჰმუდ ფაშა დააპატიმრეს გენერალ მილნეს სამხედრო მოსაზრებების გამო და რომ იგი დაკავშირებული იყო სამშვიდობო შეთანხმების დადების მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციასთან. აუცილებელი იყო ამ ორგანიზაციის განადგურება. ამ მიმონერის დროს მაჰმუდ ფაშა უკვე მალტაზე იყო გადასახლებაში. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ოზბორნმა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა: „შესაძლებელია მაჰმუდ ფაშა, როგორც იტალიის უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, მართლა ეწინააღმდეგებოდა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიას ომის პერიოდში, მაგრამ მკაცრმა სამშვიდობო პირობებმა მას ნაციონალისტებისკენ უბიძგა. ამიტომ მაისას ნათქვამი სარწმუნო არ არის“.

1921 წელს, რეპატრიაციის შემდეგ, მაჰმუდ ფაშა გაათავისუფლეს. მცირე ხნით გერმანიაში გაემგზავრა. სტამბოლში დაბრუნებული დამად ფერით ფაშას მთავრობის კაბინეტში შევიდა, მაგრამ მალე გადადგა.

მაჰმუდ ფაშამ იცოდა ფრანგული და გერმანული ენები, კარგად ერკვეოდა მათემატიკაში, ყოველთვის ადევნებდა თვალს ევროპაში გამოსულ სამხედრო, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ ნაწარმოებებს. იგი მარშალ ნური ფაშას სიძე იყო. მის მეუღლეს ლამია ერქვა. ჰყავდა ორი ასული – ფაზილეთი და ფატმა მეზიეთი. ფაზილეთი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, ფატმა მეზიეთი ცოლად გაჰყვა ვალა ნურეთინ ბეის.

გარდაიცვალა კიბოთი. დაკრძალეს სტამბოლში, კარაჯაჰმედის სასაფლაოზე. ქაბათაში მდებარე მის სასახლეში ერთხანს ბეიოლლუს ლიცეუმი იყო განთავსებული.



ახმედ ავნი-ფაშა (ლორთქიფანიძე)  
(1874-1937)  
გენერალ-ლეიტენანტი (1913)

დაიბადა ბათომში. მამამისი, სულეიმან ფაშა, ტრაპიზონის ჟანდარმერიის სარდალი იყო. რუსეთთან ომის შემდეგ მათი ოჯახი ტრაპიზონში გადასახლდა. დაწყებითი განათლება იქვე მიიღო. 12 წლისა ბიძამისთან გაგზავნეს, სტამბულში, სადაც ფათიჰის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. შემდეგ სწავლა ქულების საშუალო სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. 1897 წელს სასწავლებელი დაამთავრა და შტაბს-კაპიტნის ჩინით გენერალური შტაბის მთავარი ძალების განყოფილებაში განამწესეს. მოგვიანებით, პირადი მოთხოვნით შეუერთდა თესალიის არმიას, სადაც შტაბში დაინიშნა და მონაწილეობა მიიღო 1897 წლის ოსმალეთ-საბერძნეთის ომში. 1898 წელს უფროსი კაპიტნის წოდება მიანიჭეს და მე-7 არმიის შტაბში გადაიყვანეს. 1898 წლის 15 სექტემბერს მე-13 დივიზიის შტაბში, 1900 წლის 8 სექტემბერს კი გენშტაბში მიავლინეს.

1901 წლის 28 დეკემბერს ავნი ფაშა შტაბის მაიორი გახდა. 1902 წლის 31 იანვარს პირველი არმიის შტაბში დანიშნეს. 1906 წლის 16 აპრილს შტაბს-ვიცე-პოლკოვნიკი გახდა და 24 აპრილს ინსპექტირების მიზნით აღმოსავლეთ რუმელიის თავდაცვით ხაზზე გაიგზავნა. 1907 წლის 18 მარტს მესამე არმიის განკარგულებაში გადავიდა და 1908 წლის 11 თებერვალს შტაბს-პოლკოვნიკის წოდება მიიღო. 1908 წლის 11 ოქტომბრიდან პირველი არმიის მეორე რეგულარული დივიზიის შტაბის უფროსის, 1909 წლის 23 თებერვლიდან პირველი არმიის 22-ე რეგულარული დივიზიის 47-ე პოლკის, 1909 წლის 31 მარტიდან პირველი არმიის მესამე რეგულარული პოლკის, 1910 წლის 25 იანვრიდან მეოთხე კოსოვოს არმი-

ის სამსუნის ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე იმყოფებოდა. 1911 წლის 10 იანვარს ბაბაესკის მეცხრე დივიზიის სარდლად, 1 თებერვალს კი ნაკრები სამხედრო ნაწილების ბადრაგში დაინიშნა. 1911 წლის 10 დეკემბერს მან ბრიგადის გენერლის ჩინი მიიღო და სანას დივიზიის სარდლობა ჩაიბარა. მონაწილეობდა 1911–1912 წლების ოსმალეთ–იტალიის და 1912–1913 წლების ბალკანეთის ომებში. 1914 წლის 6 იანვარს მეათე კორპუსის წვევამდელთა განვების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მესამე არმიის ზურგის სამსახურის ინსპექციაში დაინიშნეს.

1915 წელს ავნი ფაშა ლაზისტანის საერთო სარდლობას დაქვემდებარებული „ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელად დაინიშნა. ლაზისტანის სამხედრო ოლქის საერთო სარდლობაში ყოფნის დროს, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, რუსებს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ოფის შეტაკებებში. რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

1916–1919 წლებში ავნი ფაშა ოსმალეთის არმიაში კვლავ მაღალ სამხედრო თანამდებობებს იკავებდა. სხვადასხვა ომში მონაწილეობისა და განეული სამსახურისთვის დაჯილდოებული იყო: 1897 წელს – საბერძნეთთან ომის სამახსოვრო მედლით, 1898 წელს – მეჯიდის მეოთხე ხარისხის ორდენით, 1899 წელს – ოსმანის მეოთხე ხარისხის ორდენით, 1905 წელს – მეჯიდის მესამე ხარისხის ორდენით, 1911 წელს – ოსმანის მესამე ხარისხის ორდენით, 1916 წელს – წითელლენტიანი საბრძოლო მედლით, 1916 წელს – მეჯიდის მეორე ხარისხის ორდენით, 1917 წელს – საბრძოლო ვერცხლის მედლით.

ავნი ფაშა სულთან ვაჰდეთინის (მეჰმედ VI ) მთავარი ადიუტანტი იყო და საზღვაო ფლოტის მინისტრის თანამდებობაც ეკავა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირის გამო იგი დამად ფერიდ ფაშას მოთხოვნით, სასახლეს ჩამოაშორეს და იმ 150 კაცს შორის აღმოჩნდა, რომლებსაც თურქეთში ცხოვრება ეკრძალებოდათ. იძულებული გახდა ოჯახთან ერთად რუმინეთში გადასულიყო და 2 წლის განმავლობაში კონსტანცაში ცხოვრობდა. შემდეგ სულთან ვაჰდეთინის მიწვევით სან-რემოში გაემგზავრა და მის სიკვდილამდე იქ დარჩა. ავნი ფაშას ქალიშვილი ფიტინათი თავის მოგონებებში ასე აგვიწერს ამ ამბავს: „შენც ქართველი ხარ და მეც ქართველი ვარ, ამიტომ მიყვარხარ, ამიტომ გენდობი და იყავი მუდამ ჩემ გვერდით. მე შენ ყოველთვის მახსოვდი და არასოდეს დამვიწყებხარ“, – უთქვამს სულთანს ავნი ფაშასთვის. მისი გარდაცვალების შემდეგ ავნი ფაშა ოჯახით ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი ლიბიაში გაემგზავრა და 30-იან წლებში აქვე გარდაიცვალა, ზღვისპირა დაბა ჯუნიეში. მიუხედავად გამოცხადებული ამნისტიისა ავნი ფაშა თურქეთში აღარ დაბრუნებულა. მისი მეუღლე იყო ფატმა მუნირე შაჰინბაში. ჰყავდათ ორი ვაჟი და ერთი ასული.



**თემურ-ფაშა ხიმშიაშვილი**  
**(1860-1921)**  
**გენერალ-მაიორი (1918)**

თემურ-ფაშა დაიბადა ზემო აჭარაში (ახლ.ხულოს რაიონი, სოფ. ქოჩაყში), შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ოჯახში.

განათლება მამამისის მიერ დაქირავებულ კერძო მასწავლებლებთან მიიღო. რუსეთის იმპერიის მიერ აჭარის შემოერთების შემდეგ იგი დაინიშნა ადგილობრივი ადმინისტრაციის სმოსხელედ.

1877–1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის შემდეგ მეფის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხიმშიაშვილებისა და აჭარის სხვა ძლიერი და გავლენიანი ოჯახების წარმომადგენლები სხვადასხვა წოდებებით დათანამდებობებით მოეხიბლა.

მეორე მხრივ კი, ეროვნული ერთიანობისა და ცნობიერების შესასუსტებლად, აჭარიდან მოსაშორებლად სხვადასხვა სასჯელით იმპერიის სხვადასხვა კუთხეში ასახლებდა. სწორედ ამ მიზნით გადაასახლეს თემურ-ფაშაც. 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ბათომის ოლქი, რომელიც 1878 წლის ომის შედეგად რუსეთს ჰქონდა მისაკუთრებული, კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდა.

ამასთან დაკავშირებით, აჭარლების დელეგაცია თემურ-ფაშას ხელმძღვანელობით სტამბოლში ჩავიდა სულთან ვაჰიედინთან შესახვედრად. სულთანმა ისინი ილდიზის სასახლეში მიიღო და დიდი სიხარული გამოთქვა მათი კვლავ ერთად შეყრის გამო.

შეხვედრის შემდეგ მან თემურ-ფაშა ვერცხლის მედლით დააჯილდოვა და „გენერალ-მაიორის“ სამხედრო წოდება მიანიჭა.

თემურ-ფაშა დაკრძალულია სოფელ ქოჩაყში, თავის მამულში.

თემურ-ფაშას ჰყავდა 13 შვილი. მათ შორის თავისი განათლებითა და საქმიანობით გამოირჩეოდა სელიმ-ბეგი, რომელსაც სამხედრო განათლება რუსეთში, ქ. პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. სელიმის ერთ-ერთი ვაჟი – იაუზ-ადჟარი გახლდათ თურქეთის რესპუბლიკის მეჯლისის (პარლამენტის) წევრი. ხიმშიაშვილების უმეტესი ნაწილი თურქეთში ადჟარის გვარს ატარებს, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ეს გვარი აჭარიდანაა.

## ავტორთა შესახებ



### მამუკა ჯემალის-ქა გობიტიძე

დაიბადა 1963 წლის 21 ნოემბერს ქ.თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1980 წელს დაამთავრა ქ.თბილისის № 64 რუსული საშუალო სკოლა.

1985-1991 წწ. მსახურობდა ოფიცრად საბჭოთა არმიაში (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში), სადაც მას თანმიმდევრულად მიენიჭა ლეიტენანტის (1985), უფროსი ლეიტენანტის (1987) და კაპიტნის (1990) სამხედრო წოდებები.

1991-2010 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს ქართულ ჯარში, სადაც მას 2003 წლის 28 თებერვალს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ქართულ ჯარში სხვადასხვა დროს ეკავა რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობები, მათ შორის:

1992-93 წწ. მსახურობდა ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-3 განყოფილების უფროსად.

1996-97 წწ. მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში სამსახურის უფროსად.

1997-2000 წწ. მსახურობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსად.

2005 წელს მსახურობდა დავით აღმაშენებლის სახ. თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორად სამეცნიერო დარგში- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსად.

2006 წელს ასრულებდა სამშვიდობო მისიას საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. არის თავდაცვის ძალების ვეტერანი.

2010 წლამდე მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში.

2010 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

შსს მინისტრის ბრძანებით მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება (02.07.2010).

აქვს ოთხი უმაღლესი განათლება.

1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი (დაუსწრებლად);

1996 წელს დაამთავრა უშიშროების სამინისტროს აკადემიის ოპერატიული ფაკულტეტი;

1999 წელს დაამთავრა გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტი (სასაზღვრო ძალების სამეთაურო-სამტაბო სპეციალიზაციით (ექსტერნად).

2002 წელს დაამთავრა უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.

2006 წლის 17 აპრილს დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე „ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII-XIX სს.დასაწყისში,, და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

„უმაღლესი განათლების შესახებ,, კანონის 89-ე მუხლის, მე-9 პუნქტის თანახმად, 2006 წლის 31 დეკემბრამდე, მის მიერ დაცული ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან.

ქართველ ისტორიკოსებიდან მან პირველმა ძირფესვიანად გამოიკვლია ქართველების სამხედრო მოღვაწეობა რუსეთის არმიაში XVIII-XIX სს. დასაწყისში, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

არის 129 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 19 მონოგრაფიის, (მათ შორის 1 დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს) საქართველოს და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებში.

ისტორიის დოქტორი, პროფესორი მამუკა გოგიტიძე არის საკმაოდ ხშირი სტუმარი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, მას კარგად იცნობენ სამეცნიერო წრეებში როგორც თავის სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთაც.

2007-2010 წლებში მიჰყავდა საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერი-აზე,, საავტორო გადაცემათა ციკლი სამხედრო-პატრიოტულ თემაზე, სადაც მის მიერ მომზადდა 200-ზე მეტი რადიოგადაცემა.

2005-2010 წლებში აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო ტელევიზია „საქართველოსთან,, ტელეპროექტებ „პროფესია-ჯარისკაცი,, და „მიზანი,,-ს მომზადებაში.

არჩეულია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად (2013), არის ერთი დისერტაციის ოპონენტი, რამოდენიმე მონოგრაფიების რედაქტორი, რეცენზენტი, სამხედრო კონსულტანტი და სამეცნიერო გრანტების მფლობელი.

2017 წლიდან არის საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თანადადამფუძნებელი და თავმჯდომარე.

პერიოდულად გამოდის საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით, სადაც აშუქებს საქართველოსა და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებს.

2015 წლის 29 დეკემბერს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.

2018 წლიდან არის მოწვეული ლექტორი საქართველოს სამხედრო ხელოვნების საგანში დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში.

არის სამამულო და საზღვარგარეთის რიგ სამხედრო - სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი, „ქართული სამხედრო-ენციკლოპედიური ლექსიკონის,, ავტორი, შემდგენელი და სამუშაო ჯგუფის წევრი (2017).

მისი გვარი შესულია „ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში,, და „ცნობილ ქართველთა ლექსიკონში,,

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა -„ქართული კულტურის ამაგდარის,, ნოდება.

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა წიგნისათვის „საქართველოს 100 ბრძოლა,, (დამხმარე სახელმძღვანელო) მიანიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და ლაურეატის ვერცხლის მედალი.

საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის განკარგულებით დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (01.06.2003),

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მიერ დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ვერცხლის მედლით (30.04.2008).

განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამხედრო ისტორიის საზოგადოების წინაშე დაჯილდოებულია საზოგადოების „წმინდა გიორგის,, ნიშნით, და საქართველოს და უკრაინის უწყებრივი ჯილდოებით .

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.





### **დავით როლანდის-ქა მჭადლიქა**

დაიბადა 1968 წლის 23 აპრილს ქ.თბილისში.

1991-1996 წწ. სწავლობდა და დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო მეურნეობის ფაკულტეტი.

ბატონ დავითის მთელი სამხედრო სამსახური პრაქტიკულად დაკავშირებულია ქვემო ქართლის რეგიონთან, სადაც მას ეკავა რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობები. მათ შორის:

1991-1992 წწ. მსახურობდა ბოლნისის რაიონის სამხედრო სექტორის უფროსად;

1993-1998 წწ. მსახურობდა ბოლნისის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1998-1999 წწ. მსახურობდა დმანისის რაიონის სამხედრო კომისრად;

1999-2000 წწ. მსახურობდა ბოლნისის რაიონის სამხედრო კომისრად;

2000-2003 წწ. მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამოხილზაციო-საორგანიზაციო სამმართველოს ოფიცრად.

2003-2004 წწ. მსახურობდა ეროვნული გვარდიის აღმოსავლეთის მიმართულების სამოხილზაციო შტაბის უფროს ოფიცრად.

2004-2005 წწ. მსახურობდა ეროვნული გვარდიის სამოხილზაციო-საორგანიზაციო შტაბის სამმართველოს უფროს ოფიცრად.

2005-2010 წწ. მსახურობდა ეროვნული გვარდიის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაურად;

1992-1993 წწ. და 2008 წელს მონაწილეობდა საქართველოს ტრიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. არის ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანი.

2010 წლიდან რეზერვის გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკია.

დაჯილდოებულია უწყებრივი მედლით „უმნიკვლო სამსახურისათვის,, (II და III ხარისხებით), და თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის დირექტორის სიგელით (20.12.2019).

2018 წლიდან ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას.


არჩეულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების რწმუნებულად ქვემო ქართლის მხარეში. აქვს მიღებული მონაწილეობა 2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (2019), არის 2 მონოგრაიის ავტორი.

## ბიბლიოგრაფია:


1. მ.გოგიტიძე, გ.ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., გამომც. „სცეტი“, 2015;
2. მ.გოგიტიძე, მ.გოგოლაძე, გ.ბეჟიტაშვილი, 2020, თბილისი., დამოუკიდებელი საქართველოს გენერალიტეტი (1918-2018)
3. "თავდგირიძე ალი-ფაშა" „საქართველო“, (ენციკლოპედია), თბილისი, ტ.3, 2014
4. კომახიძე, თეიმურაზ. დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი - შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. - ბათუმი : აჭარა, 2002.;
5. დიასამიძე, ავთანდილ. გრიგოლ გურიელის და შერიფ ხიმშიაშვილის დაუვინყარი ღვანლი // საისტორიო ვერტიკალები. - თბილისი, 2012. - [ტ.] 24.. ;
6. ფუტყარაძე, შუშანა. სამშობლოს ჭეშმარიტი ჭირისუფალი - შერიფ ბეგ (ალექსანდრე) ხიმშიაშვილი // გამონათლევნი : სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებული:1. - ბათუმი, 2014.
7. ქასაბი, მურად. შერიფ ფაშა (ხიმშიაშვილი) // ოსმალეთის ქართველები / მურად ქასაბი, მურად. მინისტრები : ალი რიზა ფაშა (ჯაყელი) // ოსმალეთის ქართველები / მურად ქასაბი. - სტამბოლი, 2012.- გვ.92-94
8. ჩხატარაიშვილი ქ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 564, თბ., 1979 წელი.
9. ჭიჭინაძე ზ., „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე“ — თბილისი, გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების შესწავლისა და პოპულარიზაციის კურსი , 2007
10. სოსელია, ო. (1981). ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, წიგნი II. თბილისი: მეცნიერება,



**სამხედრო ისტორიის საზოგადოების მიერ  
დადგენილი მემორანდუმი**



2019 წლის 8 მაისი



2019 წლის 20 სექტემბერი



2019 წლის 17 ოქტომბერი



## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ-საქართველოს სამხედრო ისტორიის

საზოგადოებასა

და

სსიპ დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს  
ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა  
ისტორიის მუზეუმს

შორის



2019 წლის 27 ნოემბერი







**რაზარვის უფროსი ლეიტენანტი გიორგი ბერიძე და რაზარვის ვიცე-პოლკოვნიკი დავით მჭედლიძე**




**სამხედრო ისტორიის საზოგადოების ხელმძღვანელების სამუშაო  
შესვენება ვეტირანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის  
დირექტორ, ბატონ ვლადიმერ იმნაქესთან**




**აზერბაიჯანის სამხედრო მუზეუმის  
უფროსთან, პოლკოვნიკ  
აზიზაბა განი-ზადესთან ერთად**



**დ.მჭედლიძის სავატიო სიგელით დაჯილდოება  
2019 წლის 21 ივნისი, ქ.გაქო**




რკაშთელი  
Rkatsiteli




თეთრი მშრალი ღვინო  
white dry wine

2018





ალდასტური  
Aladasturi



წითელი ღვინო  
red wine

2018





სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის  
დოქტორის, პოლკოვნიკ მამუკა გობითიძის მონებრავუიის  
პრეზენტაცია ქ.ბაქოში 2019 წლის 21 ივნისს



2019 წლის 27 სექტემბერი, ჯვართამაღლება და სოსუმის დაცემის დღე....



სამხედრო ოსტორიის საზოგადოების თავმჯდომარე მამუკა გოგიტიძე, მისი მოადგილე მამია გოგოლაძე, რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში დავით მჭედლიძე და ბოლნისის რაიონის საზოგადოების ხელმძღვანელი ნიკოლოზ მაღრაძე პატივს მიაგებენ სამშობლოსათვის დაღუპულ გმირების ხსოვნას

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების  
ქვემო ქართლის მხარის ორგანიზაციის მოღვაწეობა





**რეზერვის ვიცე-პოლკოვნიკ დავით მჭედლიძის არჩევა  
სამხედრო ისტორიის საზოგადოების რწმუნებულად  
ქვემო ქართლის მხარეში, რწმუნების სიგელის და სამახსოვრო  
საჩუქრის გადაცემა (2018 წლის 28 აგვისტო)**



## რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1801-1917 წლების რუსეთის იმპერიის 1 ქართველი გენერლის, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის 1 ქართველი გენერლის, 1940-1991 წლების საბჭოთა არმიის 5 ქართველი გენერლის, თანამედროვე ქართული ჯარის 22 ქართველი გენერლების ბიოგრაფიები, და აჭარის ცნობილი გვარების წარმომადგენლების ბიოგრაფიები, რომლებმაც მიაღწიეს გენერლის წოდებებამდე ოსმალეთის იმპერიაში-7 რომლებიც დაიბადნენ აჭარაში. სულ 36 პერსონალია.

## REZUME

This paper discusses the biographies of 1 Georgian general of the Russian Empire of 1801-1917, 1 Georgian general of the Georgian Democratic Republic of 1918-1921, 5 generals of the Soviet Army of 1940-1991, 22 Georgian generals of the modern Georgian army, and biographies of famous Adjara surnames. Reached the rank of general in the Ottoman Empire-7 who were born in Adjara. There are a total of 36 staff.

## შინაარსი

რედაქტორის სიტყვა .....	4
რუსეთის იმპერია (1801-1917).....	5
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921).....	11
საბჭოთა კავშირი (1940-1991) .....	15
1992 წლიდან დღემდე.....	21
ოსმალეთის იმპერია .....	49
ავტორთა შესახებ.....	62
ბიბლიოგრაფია .....	67
დანართები .....	68
რეზიუმე.....	82



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნივნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71